

ბეეროთ იცხაკ

"ბეეროთ იცხაკ"-ი იბეჭდება ჩვენი მასწავლებლისა და სულიერი წინამძღოლის რ.იცხაკ ზილბერის ხსოვნის საპატივსაცემოდ, რ. ი. პოლიშუკის ხელმძღვანელობით.

გათვალისწინებით იმისა რომ ტექსტი შეიცავს წმინდა თორის სიტყვებს, გაზეთი უნდა იქნეს მოთავსებული გნიზაში!



კორახ

შური - საწინდარი განადგურებისა

ლევან ტოვ

"და აიღო კორახმა შეილმა იგაჰარისა ..." (ბამიბარ 16:1)

ბაბილონის თალმუდში (მენახოთ 29:) ბრძენები გვასწავლიან რომ გამჩენმა სამყარო შექმნა მსაგვსად ვერანდისა, ვისაც აქვს სურვილი დატოვოს - ტოვებს მას. ყველაფერი კი დამოკიდებულია ადამიანზე, თუ ინდომებს დაბრუნებას (იგულისხმება თეშუბა) ეძლევა საშუალება დაბრუნდეს. გვასწავლის რეიშ ლაკიში: როგორც წერია: **"დამცინავთ დასცინის ის (გამჩენი), თავმდაბალთ კი აძლევს მშვენებას.** - ვინც მიდის განსაწმენდად (თეშუბა) ეხმარებიან მას, ვინც მიდის დასაბინძურებლად (შესაცოდად) არ უშლიან მას"

რაბი ხაიმ შმულევიჩი წიგნ "სიხოთ მუსარ"-ში გვიხსნის ბრძენების გამონათქვამს: გამჩენმა სამყარო შექმნა ისე რომ ვისაც აქვს სურვილი დატოვოს - ტოვებს მას. ახსნა ამისა კი შემდეგია: ზოგადად ადამიანი შემოფარგლულია და აქვს საზღვრები, იცერ ჰარა - მაცდური მის შეცდენას ერთი ცდუნებით ვერ ახერხებს, არამედ ეუბნება მას: **დღეს გააკეთე - (შესცოდე) ასე, ხვალ გააკეთე ასე.** ნელ ნელა, ნაბიჯ ნაბიჯ, ატოვებინებს ამ საზღვრებს.

მაგრამ ასევე არის გზა - ვისაც აქვს სურვილი დატოვოს - ტოვებს მას, ეს გზა გამოირჩევა იმით რომ, ადამიანი ტოვებს ერთბაშად, მყისიერად ტოვებს ყველა საზღვარს. ასეთ შემთხვევაში იცერ ჰარა, მას აღარ აცდენს ნელ ნელა, არამედ მთელი შემართებით მიაქანებს მას უფსკრულისკენ - უღმ-რობისკენ, რადგან ასეთი ადამიანისთვის ყველაფერი ღიაა და შემოუფარგლავი, მას აღარ აქვს კონტროლი თავის თავზე - მან დატოვა საზღვრები. შესაბამისად თუ აქვს სურვილი დაბრუნდეს - გააკეთოს თეშუბა, ის გასასვლელი საიდან მან დატოვა საზღვრები აღარ არის მისთვის საკმარისი უკან დასაბრუნებლად, არამედ მას სჭირდება ახალი განსაკუთრებული

შესასვლელი - გამჩენის დახმარება. მრავალია გზები, რომლითაც ადამიანი ტოვებს ამ სამყაროს, ერთ ერთი მათგანი კი შურია, როგორც გვასწავლიან ბრძენები (პირველი ავოთ): **შური, ვნებები და სიამაყე, ატოვებინებს ადამიანს სამყაროს.** კორახმაც ზუსტად შურის გამო დატოვა სამყარო. კითხვის აზრი, რომელსაც ბრძენები სვავენ: **კორახი, საღი აზროვნებისა იყო, რამ მიიყვანა ამ სისულელემდე?** ახსნა არის შემდეგი: **როგორ დატოვა კორახმა ეს სამყარო?** ამაზე კი პასუხი შემდეგია: **შეშურდა ელიცაფან ბენ უზიელის, რომელიც იქნა არჩეული მეთაურად.** რადგანაც დატოვა კორახმა ეს სამყარო - გავიდა საზღვრებიდან, განწირული იყო ის ჩაედინა ნებისმიერი სისულელე, შეუფერებელი მისი დონის ბრძენისთვისაც კი.

[მთარგმნელისგან: კორახი იყო ერთ ერთი მეთაური - ნასი, მას ეკავა მაღალი თანამდებობა, ხალხში ჰქონდა პატივი და გამოირჩეოდა თორის დიდი ცოდნით. მაგრამ ვხედავთ, თვისება, რომელსაც **შური** ჰქვია, იმდენად ძლიერი და მავნე აღმოჩნდა, რომ მასაც კი აურიო თავგზა, დააკარგინა აზროვნების უნარი ისეთ დონემდე, რომ მოშეს დასდო ბრალი თითქოს იგი იყო მიკერძოებული ოჯახის წევრების დასაქმებაში გამჩენის სამსახურში, ხოლო დანარჩენთ ამის საშუალებას არ აძლევდა, ანუ არ სჯეროდა კორახს, რომ მოშეს ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც იყო გადადგმული გამჩენის სამსახურში, იყო ნაკარნახები ციდან. შეგვიძლია გავაკეთოდ დასკვნა აქედან, თუ რამხელა საფრთხის წინაშე დგას ადამიანი, როდესაც ის არის შურით შეპყრობილი და მას პირადი ინტერესები ამოძრავებს, სადამდე შეიძლება მივიდეს მისი ილუზია და რა შედეგებით შეიძლება დასრულდეს ეს ყველაფერი. როგორც ვიცით კორახმა ასევე თან დაიყოლია ორასორმოცდაათი მაღალჩინოსანი, რომელთაც ასევე განსაკუთრებული ადგილი ეკავათ საზოგადოებაში. ბოლო მათი იყო - გასვლა ამ სამყაროდან, მაგრამ უკვე საბოლოოდ, არა მორალურად არამედ ფიზიკურად -

მათვის გამჩენმა განსაკუთრებული სასჯელი მოიყვანა აღსრულებაში, როგორც სამყაროს არ ახსოვს - გაიხსნა მიწა და ჩაყლაპა ყველა ვინც კი ეჭვი შეიტანა მოშეს ჭეშმარიტებაში და არ დაბრუნდა თავის დროზე ამ სულელური და შეუფერებელი წამოწყებიდან, მაგრამ სასწაული ასე არ დამთავრდა, გამჩენმა მიწა მათი ჩაყლაპვის შემდეგ ისე შეაერთა, თითქოს იმ ადგილას არც არაფერი მომხდარიყო, შეიძლება ითქვას ეს იყო გაკვეთილი გამჩენისგან, რომ ყველა შურით სავსე ადამიანი, ქვეყნის დატოვების შემდეგ არ ტოვებს არაფერს უკან, მასზე მოგონებაც კი არ რჩება.]



ძლიერი საფუძველი - მარადისობის საწინდარი

რაბი შიშმონ დავიდ პინკუსი

საუბარს დავიწყებ ბრწყინვალე აზრით, რომელიც მე მოვისმინე ჩემი მასწავლებლისგან რაბი ბინიამინ ცალბერგერისგან, ერთ ერთი ხელმძღვანელთაგანი იეშივისა "ბეით ჰათალმუდ".

ერთხელ მივმართე მას კითხვით, რომელიც მაწუხებდა: მაინტერესებდა როგორ შეიძლება ყოფილიყო რომ, ადრე შენდებოდა დიდი სინაგოგები, რომლებიც იყო ხალხით სავსე, ბოლო დროს კი სამწუხაროდ, სრულიად ცარიელია. ამის ახსნა შეიძლება სხვა დ სხვა გზით: შეიცვალა მოსახლეობა სინაგოგისა გარშემო ან კიდევ სხვა, მაგრამ თვით ფაქტი შემამფოთებელია - აშენდა სინაგოგა და ახლა ის სრულიად ცარიელი დგას.

მან კი ამ კითხვაზე შესანიშნავი მიპასუხი გამცა: როდესაც შენდება სახლი, საფუძველი მისი უნდა იყოს გათვლილი სათანადოდ, უნდა იყოს გამოყენებული მკვრივი და ხარისხიანი მასალები, რათა იყოს მყარი და რაც უფრო საგულდაგულო იქნება საფუძველი მით მეტ ხანს იდგება შენობა. ჩვენ უნდა გვესმოდეს რომ სულიერ მშენებლობაშიც იგივე პრინციპებია. ისინი ვინც ადრე აშენებდნენ სინაგოგებს, საფუძვლად დიდ სიწმინდესა და ებრაელურ სულს უდებდნენ, ამიტომ ეს სინაგოგები საუკუნეები არსებობდნენ. დღეს კი აშენებული სინაგოგები მოკლე ჟამს ძლივს ძლებენ, შემდეგ კი მხოლოდ ისტორიად იქცევიან - დგანან ცარიელნი. ჩნდება კითხვა - როგორ უნდა გამოიყურებოდეს ნამდვილი სინაგოგა და იეშივა? ვფიქრობ ამ კითხვაზე პასუხად, შესაფერისი იქნება სათანადოდ ვერ გათვალა საფუძველი. რაღა დარჩა თუ მოხდება კატასტროფა, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის

მოგიყვით ერთი ამბავი, რომელიც მსმენია ერთი არაჩვეულებრივი ებრაელისგან ბნეი ბრაკიდან. იეშივათ პონოვიჩის ქვეშ, არის დიდი და მყარი თავშესაფარი. ჰყვებოდა ის ებრაელი: როდესაც შენდებოდა იეშივა, იეშივის ხელმძღვანელობისგან ვიყავი დანიშნული პასუხიმგებლად მეხელემძღვანელა მშენებლობისთვის. შესაბამისად სახელმწიფო სამსახურებისგან მივიღე განკარგულება, თუ როგორი გზით უნდა აშენებულიყო შენობა რათა ის ყოფილიყო მყარი. ვაღიარებდა რომ სახელმწიფოს მიერ გაცემულ განკარგულებებს ჰკუიდან გადავყავდი, თავდაპირველად სახელმწიფომ მოითხოვა ერთი სახის მასალები, დროთა განმავლობაში მათი მოთხოვნები მკაცრდებოდა და ხდებოდა შეუძლებელი. ერთხელაც ველარ მოვითმინე და წავედი ოფისში საიდანაც განკარგულებებს იძლეოდნენ და იქ ხელმძღვანელი გამოვიჭირე, ვკითხე მას: რა არის თქვენი მიზანი? თქვენ გნებავთ ააშენოთ თავშესაფარი ატომური ბომბის დარტყმას რომ გაუძლოს? მან კი მიპასუხა: მე აგიხსნი რა არის ჩვენი მიზანი. ჩვენ გვინდა აგაშენებინოთ ისეთი თავშესაფარი, რომელიც გაუძლებს თუნდაც ისეთ აფეთქებას, რომლის შედეგადაც დიდ მანძილზე გადასროლილი თავშესაფარი დარჩება მთელი და უვნებელი. აი ასეთია ჩვენი მიზანი!

ასეთი იდეა არსებობს ასევე სულიერებაში. ნიუ იორკში არის იეშივა სახელად "მირ"-ი. განა არის ამერიკაში ქალაქი სახელად "მირ"-ი? ასევე ისრაელში არის უბანი, რომელსაც ვიჟნიცი ეწოდება, განა ისრაელში არის ასეთი ქალაქი? არა, და არც პონოვიჩი და არც სლობოდკაა არაა... არამედ ევროპაში იყო ქალაქი, რომელსაც ერქვა მირი, პონოვიჩი ვიჟნიცი და ა.შ. ამ ადგილებში იყო შექმნილი იეშივები - თორის ცენტრები და ასევე დიასპორები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენდნენ თავშესაფარს ასობით ოჯახისთვის და მრავალი თაობისთვის, რომლებიც იმყოფებოდნენ იქ, უეცრად მოხდა აფეთქება - კატასტროფა (მეორე მსოფლიო ომი), რომელმაც ეს თავშესაფრები ევროპიდან მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში გაისროლა და ისინი უვნებელი დარჩნენ, იქ დღემდე გრძელდება თორის სწავლა და ტრადიციების შენახვა. ნათელია, ვინც აშენებდა ამ თავშესაფარებს მათ საწყის ადგილას, საფუძველში ჩადო განუმეორებელი ძალა გადარჩენისა, რათა მოსალოდნელი კატასტროფა არ ყოფილიყო საფრთხის მომტანი, კატასტროფის გამო თავშესაფრები - იეშივები და დიასპორები იქნა გადასროლილი დიდ მანძილზე, მათ კი ამის შედეგად არაფერი დაკლებიათ. დღეს აშენებული სახლები კარგად გამოიყურება სანამ ახალია, მაგრამ რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ ჩნდება ბზარები, ყველა ხვდება რომ მშენებელმა სათანადოდ ვერ გათვალა საფუძველი. რაღა დარჩა თუ მოხდება

კატასტროფა, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ მოხდა, ეყოფა კი ჩვენს სახლებს გამძლეობა - გვაქვს კი ჩვენ საკმარისი სულიერი ძალა გავუძლოთ იგივეს? როგორ სულიერ ძალასა და სიწმინდეს ვდებთ ჩვენი სახლის საფუძველში მისი მშენებლობის დროს? შეძლებენ ისინი გაძლონ 50 - 100 წელს? ნუთუ ჩვენც ვაშენებთ მსგავსად ჩვენი წინაპრებისა სახლებს მყარად რომ გაძლონ ასობით საუკუნე - არის ჩვენი სახლის საფუძველში საკმარისი თორა და მიცვები?



ებრაელის სამი ნიშანი — შაბათი

რაბი ისრაელ მეირი რადინიდან - ხაფეც ხაიმი

ნაწილი #2

გამჩენმა თორაში დავალებული ორასორმოცდარვა (248) მიცვის შესაბამისად, ადამიანის სხეული ორასორმოცდარვა ნაწილისგან შექმნა (არ იგულისხმება ორგანოები როგორიცაა გული, არამედ კიდურები, თითები, თვალები და ა.შ). ეს უკანასკნელები კი თავის მხრივ იყოფიან ორ ჯგუფად: ა) რომლებზეც ადამიანის სიცოცხლე არ არის დამოკიდებული; ბ) რომლებზეც ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებულია. მიუხედავად იმისა რომ პირველი ჯგუფის ნაწილებზე სიცოცხლე არ არის დამოკიდებული, როგორიცაა ხელი, ფეხი და ა.შ, მიუხედავად ამისა, თუ ადამიანი მათ ნაკლებობას განიცდის, ითვლება ინვალიდად და არასრულფასოვნად, აღარაფერი რომ ვთქვათ ისეთ ნაწილებზე, რომლებზეც სიცოცხლეა დამოკიდებული, მათ გარეშე ხომ სიცოცხლე შეუძლებელია. ამის ანალოგიურად მიცვების შესრულებაზეც არის დამოკიდელი სულის მთლიანობა. მაგალითად არის მიცვები, რომლებიც არის სულის ისეთი ნაწილის საპირისპიროდ, რომელთა დარღვევის შედეგად სული აგრძელებს არსებობას მომავალ სამყაროში, მაგრამ ითვლება წუნდებულად, სულისთვის კი ეს დიდი სირცხვილი და სიმწარეა, როდესაც ნათლად გამოჩნდება თუ რომელი ორგანოთი ან სხეულის ნაწილით ცოდავდა ადამიანი ამ სამყაროში. მკვდრეთით აღდგომისას ყველა ისრაელი გაცოცხლდება და ადგება საფლავიდან, მთელი და უვნებელი, ხოლო ეს უკანასკნელი მიცვების დარღვევის გამო იქნება არასრული, მაგალითად: ის ვინც არ იდებს თეფილინს, მკვდრეთით აღდგომისას მას არ ექნება მარცხენა ხელი. შესაბამისად სხვა ცოდვებისა სხვა და სხვა ორგანოებით, იქნება ინვალიდი, ყველას დასაწახად თუ რა ცოდვებს ჩადიოდა ამ ქვეყანაზე. ამაზე ფიქრიც კი შემზარავია, მაგრამ გამჩენის ჭეშმარიტებამ ასე დაადგინა,

ყველაფერი რაც თორით გვაქვს დავალებული მხოლოდ ჩვენს სასიკეთოდაა, გამჩენისა და თორის მიზანი არ არის ადამიანის დასჯა ან მისი დათრგუნვა არამედ პირიქით, როდესაც ებრაელი ასრულებს ყველა მიცვებს, სულიერი სიმტკიცე ასეთი ადამიანისა შეუდარებელია, ხოლო სულის გავლენა სხეულის სიმტკიცეზე აისახება, როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ მიცვა როგორც სულის ასევე სხეულის ნაწილების მასაზრდოებელი წყაროა. თორაში ასევე არის სამასსამოცდახუთი (365) ამკრძალავი მიცვა, რომელთა დარღვევაც ისჯება (არ გააკეთო, მაგ: შაბათის დარღვევა, ღორის ხორცის ან არაქაშერის ჭამა, იომ ქიფურში ჭამა და ა.შ), ზოგიერთი მათგანის დარღვევა სულის ისეთი ნაწილის საპირისპიროდაა, რომელიც სულის არსებობაზე აგებს პასუხს, აქედან გამომდინარე ადამიანის სხეულის ისეთ ნაწილზე — მაგალითად როგორიცაა თავი, ამ უკანასკნელის არ არსებობის შემთხვევაში კი სიცოცხლე შეუძლებელია, ლოგიკურად გამოდის მკვდრეთით აღდგომისას სულს არ ექნება სიცოცხლის უნარი და შესაბამისად სხეულიც ვერ აღსდგება, ღმ-რთმა დაგვიფაროს. ასეთ ამკრძალავ მიცვებს მიეკუთვნება წმინდა შაბათი. მაგრამ მეორე მხარე ნუ დაგვაიწყდება, თუ რამხელა სულიერი სიძლიერე მოჰყვება შაბათის შენახვასა და დაფასებას. უფრო მეტიც, ბაბილონის თალმუდში ბრძანებენ ბრძენები: **შემნახველი შაბათისა წესის მიხედვით, თუნდაც სცოდავდა ყველა ცოდვას, ჰპატიობენ მას.**

შაბათს აკმაღული სამუშაოების ძირითად რიცხვს წარმოადგენს ოცდაცხრამეტი, მათ კი აქვთ განშტოებები. წესების დარღვევისგან არავინაა დაცული, თორის კომენტატორები ბრძანებენ რომ აუცილებელია დაბრუნება და გამეორება შაბათის წესებისა მუდმივად, რათა არ შეცდეს ადამიანი არც ერთხელ. ციფრი წესებისა დიდია და სირთულე შესრულებისა ერთი შეხედვით ძნელია, მაგრამ საზღაური დიდია და ნამდვილად ღირებული. მთავარი არის გადაწყვეტილების მიღება, მას კი მოქმედების მიყოლება სჭირდება, გამჩენი კი ჩვენს გვერდითაა ყოველთვის, ბრძანებენ ბრძენები: 'ღმ-რთი არასდროს აგზავნის ისეთ განსაცდელს, რომლის განვლა ადამიანსთვის შეუძლებელია', წინააღმდეგ შემთხვევაში ამას გამოცდა და განსაცდელი არ ჰქვია. მთავარია დავიწყოთ შაბათის დაცვა, თუნდაც ერთი მიცვით, დავინახავთ რომ არც თუ ისეთი ძნელია დანარჩენზე კი შემდეგ ვილაპარაკოთ. გისურვებთ დიდ წარმატებას და ღმ-რთის გვერდში დგომას, ამ დიდი მიცვისა და ებრაელობის არსის შესრულებაში.

თხოვნა მშობლისა, რომელიც თორას
ეწინააღმდეგება

იმ შემთხვევაში, როდესაც თხოვნა ან სურვილი მშობლისა არის საწინააღმდეგო თორას ან ბრძენების დადგენილებების, აკრძალულია მათი შესრულება. რადგანაც თორაში ნათქვამია : **" გეშინოდეს დედისა და მამისა შენისა და დაიცავი შაბათი ჩემი, რადგან მე ვარ უფალი ღმ-რთი თქვენი."** თორის კომენტატორები ამ ნაწყვეტს შემდეგნაირად ხსნიან : შემთხვევითი არაა ასეთი დამთხვევა ორი განსხვავებული მიცვისა, - თუ მამა ან დედა მითხოვენ შვილისგან შაბათის დარღვევას, აკრძალულია მათი მოსმენა (ასევე ნებისმიერი სხვა ვალდებულების ან აკრძალვისა თორიდან). რა არის ამის მიზეზი? პასუხი ფრაზის გაგრძელებაშია - **"... რადგან მე ვარ უფალი ღმ-რთი თქვენი."** - როგორც შენ, ასევე შენი მშობლები არიან ვალდებული შეასრულონ და დაიცვან ჩემი წესები.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები ეწინააღმდეგებიან შვილის გადაწყვეტილებას - აპატიოს ებრაელს რაიმე საქციელი, შვილი არ არის ვალდებული მოუსმინოს მათ, რადგან თორიდან არის აკრძალული ზიზღი ებრაელისა გულში, როგორც წერია თორაში : **" არ გეზიზღებოდეს მეგობარი (ებრაელი) შენი გულსა შენსა."**

მამა, რომელიც უშლის შვილს თქვას კადიში აწ გარდაცვლილ დედაზე, ასევე დედა, რომელიც უშლის შვილს კადიშის თქმას აწ გარდაცვლილ მამაზე, შვილი არაა ვალდებული მოუსმინოს მას. თუ მშობლები უშლიან შვილს გადასახლებაზე ისრაელის მიწაზე, შვილი არ არის ვალდებული მოუსმინოს მათ. თუ შვილი ასრულებს ნებაყოფლობით მარხვებს, ამას კი მშობელი ეწინააღმდეგება, გარდა სავალდებულო მარხვებისა შვილმა უმჯობესია მოუსმინოს მშობლებს, ან ნუ იმარხულებს მათ წინაშე. [გამოცდილებიდან, ფსიქოლოგები გვიზიარებენ, რომ ხშირად მშობლების უადგილო და ეგოისტური ჩარევის გამო, ინგრევა ბევრი ლამაზი და კარგი ოჯახი, რადგან მათი დაჟინებული ზეწოლის შედეგად, შვილს მოსდის შეცდომა, მშობლის პატივისცემის მიცვის არასწორი ინტერპრეტაციისა, იღებს არასწორ გადაწყვეტილებას და ყველაფერი სრულდება სავალალოდ. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მიმართონ გამოცდილ რაბის, რადგან აკრძალულია მშობლის დიქტატურის მოთმენა, თავიდან ტრაგედიის აცილების მიზნით.]

გისურვებთ ბედნიერ შაბათს!
!יום שבת

ლექსაცლახა:	ლეილუი ნიშმათ:	გ ა კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი
ცვი ხაიმ ბენ აპარონ ოჯახით	იოსეფ ბენ ცევი ხაიმ	ორშაბათი: 20:30 რ. ხაიმ ქოენი (მამაკაცებისთვის)
ავრაჰამ ბენ იაკობ ოჯახით	ავრაჰამ ბენ შალომ	სამშაბათი: 20:30 რ. ხაიმ ქოენი (ქალბატონებისთვის)
დავიდ ბენ ბენიამინ ოჯახით	სიმანტოვ თამაზ ბენ იაკობ	ხუთშაბათი: 21:00 რ. დავიდ ელიშაკოვი (მამაკაცებისთვის)
შალომ ბენ სარა ოჯახით	ბენიამინ ბენ შაბთაი	მისამართი: ქ. ბათ-იამი, ბორუხოვის 10
გაბრიელ ბენ ავრაჰამ ოჯახით	თამარ ბათ შამილ	„ქართველების სალოცავი“
იოსეფ ბენ შალომ	ლალი სარა ბათ ბენიამინ	სამშაბათი: 19:30 რაბანითი ხანა (ქალბატონებისთვის)
არიელ ბენ ლუდმილა	ხავა ბათ აბრაჰამ	მისამართი: ქ. იერუშალაიმი „ნევე იაკოვი“ 27, ბინა 22
ელიაჟ ბენ გაბრიელ	იცხაკ ბენ სიმა	ტელ: 054-56-13-909
	დალი ხაია ბათ მირიამ	
	მოშე ხაიმ ბენ ხავა	